

ამოცანა 1.

შპს ABC თავისი განყოფილებებისთვის ამზადებს ბიუჯეტებს და შეაფასა საწარმოო დანახარჯი იმ წლის, რომელიც მთავრდება 20X5 წლის 31 დეკემბერს. კომპანიას აქვს სამი საწარმოო ქვედანაყოფი – მექანიკური, საამწყობო და საბოლოო დამუშავების საამქრო. ასევე აქვს წარმოების ტექნიკური მომსახურების განყოფილება. შემდეგი დანახარჯები და მასთან დაკავშირებული მონაცემები შეფასდა 20X5 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული საანგარიშგებო წლისთვის:

	მექანიკური	საამწყობო	საბოლოო დამუშავ.	ტექნომსახურების	მთლიანი
	\$000	\$000	\$000	\$000	\$000
დანახარჯები					
ძირითადი ხელფასი	60	32	72	0	164
არაპირდაპირი ხელფასი	10	6	8	30	54
პირდაპირი მასალა	80	10	4	0	94
არაპირდაპირი მასალა	15	4	8	20	47
ელექტროენერგია					102
განათება და გათბობა					10
ცვეთა					7
საიჯარო ქირა და კომუნ. გადასახადები					25
პერსონალი					63

სხვა მონაცემები:					
პირდაპირი კაცსთ	12,000	8,000	16,000	6,000	42,000
მანქანასაათები	40,000	5,000	6,000	0	51,000
თანამშრომლები	6	4	8	3	21
დაკავებული ფართ. (კვმ)	1,000	400	300	300	2,000
გრძელვადიანი აქტივების წმინდა სააღრიცხვო ღირებულება (წსლ)(\$)	20,000	8,000	3,000	4,000	35,000

ნავარაუდევია, რომ ტექნიკური მომსახურების განყოფილება თავისი საბუთო დროის 60%-ს დახარჯავს მექანიკურ საამქროზე, ხოლო დანარჩენს – თანაბრად გაანაწილებს საამწყობო და საბოლოო დამუშავების საამქროებზე.

მოგეთხოვებათ:

- (ა) გამოითვალეთ მთლიანი ზედნადები ხარჯები:
 - (i) მექანიკურ საამქროში
 - (ii) საამწყობო საამქროში
 - (iii) საბოლოო დამუშავების საამქროში

(4 ქულა)

(ბ) გამოითვალოთ ზედნადები ხარჯების შესაფერისი შთანთქმის განაკვეთი:

- (i) მექანიკურ საამქროში
- (ii) საამწვობო საამქროში
- (iii) საბოლოო დამუშავების საამქროში

(3 ქულა)

(გ) დაუშვათ, რომ მექანიკურ საამქროში ყველა გაწეულმა ფაქტობრივმა მუდმივმა ზედნადებმა ხარჯებმა ერთად შეადგინა \$128,000, ხოლო ფაქტობრივმა პირდაპირმა კაცსაათებმა და მანქანასაათებმა 10,500 და 39,000 შესაბამისად.

გამოითვალოთ მექანიკური საამქროსთვის ზედნადები ხარჯების შთანთქმის სიჭარბე/ დანაკლისი.

(3 ქულა)

(სულ: 10 ქულა)

ამოცანა 2.

შემდეგი ინფორმაცია ეხება პროდუქტ ალფას:

ერთეულის სარეალიზაციო ფასი	\$100
ერთეულის ცვლადი დანახარჯი	\$56
მუდმივი დანახარჯები	\$220,000

გეგმური რეალიზაცია შეადგენს 7,500 ერთეულს.

მოგეთხოვებათ:

- (ა) გამოითვალეთ ზღვრული მოგების რეალიზაციასთან ფარდობის კოეფიციენტი; (2 ქულა)
- (ბ) გამოითვალეთ წაუგებლობის წერტილი გაყიდული ერთეულებით გამოსახული; (2 ქულა)
- (გ) გამოითვალეთ წაუგებლობის წერტილი ამონაგებით გამოსახული; (2 ქულა)
- (დ) გამოითვალეთ რეალიზაციის ერთეულების რაოდენობა, რომელიც საჭიროა \$550,000 მიზნობრივი მოგების მისაღწევად; (2 ქულა)
- (ე) გამოითვალეთ უსაფრთხოების შუალედი (გამოსახული, როგორც გეგმური რეალიზაციის მიმართ პროცენტი). (2 ქულა)

(სულ: 10 ქულა)

ამოცანა 3. „მარიამი“

მცირე ბიზნესის -- „მარიამი“-ს მმართველი დირექტორი ფიქრობს ერთჯერადი შეკვეთის მიღებას. მმართველმა დირექტორმა შეიტყო, რომ მისი მსგავსი სპეციალური შეკვეთისათვის გამოყენებულ უნდა იქნეს რელევანტური დანახარჯების კალკულაცია, რომელიც აგრეთვე გაითვალისწინებს ალტერნატიულ დანახარჯებს. რელევანტური დანახარჯები უნდა განისაზღვროს შემდეგი ინფორმაციის გათვალისწინებით:

ინფორმაცია:

1. პირდაპირი ხელფასი მოიცავს ორი თანამშრომლის ხელფასს, რომლებიც სპეციალიზებულნი არიან ამ ტიპის შეკვეთებზე. მათი გადმოყვანა შესაძლებელია სხვა დეპარტამენტიდან კონკრეტულად ამ სპეციალური შეკვეთის შესასრულებლად. თავიანთ დეპარტამენტში ისინი მთლიანად დაკავებულნი არიან და მათი გადმოსვლის შემთხვევაში საჭირო გახდება ქვეკონტრაქტორი თანამშრომლების აყვანა. ქვეკონტრაქტორის ღირებულება სამუშაოს განმავლობაში იქნება 32,000 ლარი. არსებობს სხვა ქვეკონტრაქტორების დაქირავების შესაძლებლობაც და მათი ღირებულება უტოლდება 31,300 ლარს.
2. ზედამხედველს მოუწევს სპეციალურ შეკვეთაზე მუშაობა. მისი წლიური ანაზღაურება შეადგენს 8,000 ლარს, ასევე ჩვეულებრივ პირობებში მუშაობის საპრემიო 2,500 ლარს, რასაც დაკარგავს სპეციალურ შეკვეთაზე მუშაობის გამო. თუმცა იგი მიიღებს 3,500 ლარიანი პრემიას სპეციალურ შეკვეთაზე მუშაობისთვის.
3. საერთო ზედნადები დანახარჯები შედგება მიკუთვნებული 3,000 ლარისა და 1,000 ლარი დამატებითი ზედნადები დანახარჯებისაგან.
4. მოსალოდნელია, რომ მანქანის რემონტისათვის დამატებით დაიხარჯება 500 ლარი.
5. მანქანა-დანადგარის ზედნადები დანახარჯების (როგორცაა ექსპლუატაციის მიმდინარე დანახარჯები მაგ:ელექტროენერჯია) მიკუთვნება ხდება განაკვეთით 3 ლარი საათში. გათვლილია, რომ სპეციალური შეკვეთისათვის საჭიროა 6,000 საათი. მანქანას გააჩნია 4,000 საათიანი რესურსი. დამატებითი 2,000 საათის მოსაზიდად უნდა შეჩერდეს სამუშაო რომელიც იძლევა 2 ლარ ზღვრულ მოგებას საათში.
6. კომპანიას გააჩნია მასალების 10,000 კგ მარაგი, კონტრაქტისთვის საჭიროა 7,500 კგ. მასალები აღარ გამოიყენება და სავარაუდოდ არც იქნება საჭირო მისი სამომავლო მოხმარება, გარდა სპეციალური შეკვეთისათვის. მასალების მთელი მარაგი(10,000კგ), ან მისი ნაწილი, შესაძლოა გაიყიდოს კილოგრამი 4.2 ლარად. გამოყენებული მასალების ჩანაცვლების დანახარჯი იქნება 33,375 ლარი.

მოითხოვება:

გამოთვალეთ ერთჯერადი შეკვეთის მთლიანი რელევანტური დანახარჯები.

(სულ: 10 ქულა)

ამოცანა 4. კომპანია ელ-ბა

კომპანია „ელ-ბა“ უშვებს თხევად სარეცხ საშუალებებს. სარეცხი საშუალება მზადდება ორი თანმიმდევრული პროცესის შედეგად. 1-ლი პროცესი მოიცავს საბაზო ქიმიკატის დამზადებას. იგი შემდეგ მე-2 პროცესში უერთდება სხვა მასალას მზა სარეცხი საშუალების მისაღებად. მე-2 პროცესში გამოყენებული სითხის 10% ნარჩენის სახით რჩება პროცესის ბოლოს. ეს ნარჩენი სითხე ლიტრი იყიდება 10 თეთრად. კომპანია „ელ-ბა“-ს მიერ მიღებული პრაქტიკაა მასალების ღირებულებიდან ნარჩენის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლების ჩამოწერა.

ქვემოთ მოცემულია 1-ლი კვირის დეტალები სარეცხი საშუალების წარმოებასთან დაკავშირებით:

მე-2 პროცესი

	ლიტრი (ათასი)	ლარი (ათასი)
მასალა პირველი პროცესიდან	125	62.50
მეორე პროცესზე დამატებული მასალა	85	103.75
გადამუშავების დანახარჯები მეორე პროცესზე		8.50
მეორე პროცესიდან გამოსული მზა პროდუქცია	195	
დაუმთავრებელი წარმოება	0	

მოითხოვება:

ა) 1-ლი კვირისათვის იანგარიშით

1. ნორმატიული დანაკარგის ღირებულება (1 ქულა)
2. მასალის მთლიანი ღირებულება პროდუქტის ერთი ლიტრისთვის მეორე პროცესის დასრულების შემდეგ. (2 ქულა)
3. მე-2 პროცესში გადამუშავების ხარჯები პროდუქტის ერთი ლიტრისთვის. (2 ქულა)

ბ) 1-ლი კვირისათვის იანგარიშით:

1. ზენორმატიული გამოსავლიანობის წმინდა ღირებულება (2 ქულა)

გ) 1-ლი კვირისათვის მოამზადოთ მე-2 პროცესის ანგარიში

(3 ქულა)

(სულ: 10 ქულა)

ამოცანა 5.

სატრანსპორტო ბიზნესი

ოთხი მსგავსი მანქანის მქონე სატრანსპორტო კომპანია სამუშაო დროის სამი მეოთხედის განმავლობაში მუშაობს პრაქტიკული სიმძლავრის 80% დატვირთვით, ხოლო დანარჩენ დროში სიმძლავრე არის 60%-ის ტოლი. კომპანიის წლიური პრაქტიკული სიმძლავრე არის 8,000 კაცსაათის ტოლი და შეესაბამება 160,000 კილომეტრს.

საწარმოს სამუშაო დანახარჯი არის შემდეგი სახის:

მანქანის ამორტიზაცია: \$4,000 მანქანაზე წელიწადში.

ძირითადი მომსახურება: 6 თვიანი მომსახურებისას - \$110 მანქანაზე

სათადარიგო ნაწილები: \$ 100 1,000 კმ-ზე.

მანქანების ლიცენზია: მანქანაზე წლიური დანახარჯი \$ 140.

მანქანის დაზღვევა: მანქანაზე წლიური დანახარჯი \$ 450.

საბურავების გამოცვლა: 40 000 კილომეტრში საჭიროებს 6 საბურავის გამოცვლას, თითოეულის ღირებულება არის \$90.

საწვავი: ლიტრზე \$0,40.

ლიტრით გავლილი საშუალო მანძილი : 4.0 კმ.

მძღოლები: თითოეულზე \$8 000 წელიწადში.

ადმინისტრაციული დანახარჯი: წელიწადში \$19 700.

(შეკვეთაზე ადმინისტრაციული დანახარჯი დაერიცხება დანახარჯის 25% -ის მიხედვით)

მოგეთხოვებათ:

1. გამოთვალეთ საბიუჯეტო სიმძლავრე (კმ), ცვლადი და მუდმივი სამუშაო დანახარჯები კილომეტრზე.

(7 ქულა)

2. ცვლადი და მთლიანი დანახარჯი, რომელიც დაერიცხება შეკვეთას, რომლისთვისაც ერთი მანქანა გაივლის 100 კმ-ს.

(3 ქულა)

(სულ: 10 ქულა)

ამოცანა 6.

დანახარჯთა ნორმატიული კალკულაცია და გახრების ანალიზი.

ქვემოთ მოცემულია საწარმოს მეშვიდე განყოფილების წინა თვის ფაქტობრივი და საბიუჯეტო ზედნადები დანახარჯი და საქმიანობის დონე:

	თვის საბიუჯეტო	თვის ფაქტობრივი
საქმიანობა:		
ნორმატიული დრო, სთ	8 000	8 400
მუდმივი ზედნადები დანახარჯი:	\$	\$
ხელფასები	6 750	6 400
მომსახურება	3 250	3 315
ცვლადი ზედნადები დანახარჯები:		
ელექტროენერგია	17 600	20 140
სახარჯი მასალა	6 000	5 960
დამხმარე მასალა	4 400	4 480
მთლიანი ზედნადები დანახარჯი	38 000	40 295

ზემოთ მოცემული საბიუჯეტო ზედნადები დანახარჯი ეფუძნება 8,000 საბიუჯეტო კაცსაათს და ჩავთვალოთ, რომ წლის განავლობაში განყოფილების საბიუჯეტო ზედნადები დანახარჯის დონე და საქმიანობის დონე თანაბრად იცვლება. ცვლადი ზედნადები დანახარჯი იცვლება საწარმოო დროის მიხედვით.

მოგეთხოვებათ:

გამოთვალეთ გასულ თვეში განყოფილებაში წარმოქმნილი შემდეგი სახის გადახრები:

1. მუდმივი ზედნადები დანახარჯის ათვისების გადახრა.
2. მუდმივი ზედნადები დანახარჯის ღირებულების გადახრა.
3. ცვლადი ზედნადები დანახარჯის ღირებულების გადახრა.

(სულ: 10 ქულა)

ამოცანა 7. ბიუჯეტის შედგენა

კომპანიას სურს გამოთვალოს მომავალი პერიოდის ოპერაციული ბიუჯეტის პარამეტრები. დანახარჯთან, პროდუქტებთან და რეალიზაციის დანახარჯთან დაკავშირებული ინფორმაცია გამოსახულია ქვემოთ:

	პროდუქტი A	პროდუქტი B
გამოყენებული მასალა ერთეულზე:		
X (კგ)	2	3
Y (ლიტრი)	1	4
საჭირო კაცსაათი ერთეულზე:		
კვალიფიციური (სთ)	4	2
არაკვალიფიციური (სთ)	2	5
რეალიზაციის დონე (ერთეულები)	2 000	1 500
საწყისი მარაგი (ერთეულები)	100	200

მზა პროდუქციის საბოლოო მარაგის უზრუნველსაყოფად საკმარისი იქნება რეალიზაციის 10%-ი, ხოლო მასალის საბოლოო მარაგი - რეალიზაციაზე მოხმარებული მასალის 10%-ი.

X მასალის საწყისი მარაგი იყო 300 კგ, ხოლო Y მასალა კი - 1 000 ლიტრი. X მასალის კილოგრამის ფასი არის \$ 10, ხოლო Y-ის ლიტრის ფასია \$ 7. კვალიფიციური მუშახელის საათობრივი ანაზღაურება არის \$ 12, ხოლო არაკვალიფიციური კი - \$ 8 საათში.

მოგეთხოვებათ:

მოამზადოთ შემდეგი სახის ბიუჯეტები:

- წარმოების (ერთეულებში)
- მასალი გამოყენების (კგ-ში და ლიტრში)
- მასალის შესყიდვების (კგ-ში, ლიტრებში და \$)
- შრომის (საათი და \$)

(სულ: 10 ქულა)

ამოცანა 8. შრომა

კვირის განმავლობაში საქარხნო განყოფილების შრომითი დანახარჯის შესახებ მოიპოვება შემდეგი ინფორმაცია:

	ძირითადი პერსონალი	დამხმარე პერსონალი
ანაზღაურებადი საათები:		
წარმოება	432	117
ტრენინგი	24	-
მოცდენილი დრო	<u>32</u>	<u>4</u>
მთლიანად	488	121
საათობრივი განაკვეთი:		
ძირითადი განაკვეთი	\$ 7,5	\$ 6
ზენორმ. დროის პრემია	\$ 2,5	\$ 2

შემდეგი ინფორმაცია იქნა მოპოვებული:

- განყოფილებაში არის 12 ძირითადი პერსონალი და 3 დამხმარე პერსონალი.
- განყოფილების ყველა მუშაკზე განაწილებული ჯგუფური პრემიები იყო \$520.
- ძირითადი ანაზღაურების განაკვეთი შეეხება 37 საათიან სამუშაო კვირას.
- ზენორმატიული ნამუშევარი დრო საჭირო იყო წარმოების ძირითადი მოთხოვნების უზრუნველყოფისათვის.
- მოცდენის დრო და ტრენინგზე კვირის განმავლობაში დახარჯული დრო განიხილება ნორმატიულად.

მოგეთხოვებათ:

1. გამოთვალეთ კვირის განმავლობაში ანაზღაურებული თანხა (ჯგუფური პრემიის გამოკლებით), ძირითადი და დამხმარე პერსონალისათვის. (5 ქულა)
 2. განსაზღვროთ პირდაპირი და არაპირდაპირი დანახარჯები. (5 ქულა)
- (სულ: 10 ქულა)

ამოცანა 9.

ზედნადები ხარჯები.

„სატურნი“ (შოკოლადის მწარმოებელი კომპანია) უშვებს სამი სახის პროდუქციას:

- „სქაი ბარი“ – რძიანი შოკოლადის ფილა;
- „მუნ ეგი“ – რძიანი შოკოლადის ბურთულები;
- „მუნ ბარი“ – ბისკვიტისა და ნუგას შემცველი შოკოლადის ფილა.
-

	„სქაი ბარი“	„მუნ ეგი“	„მუნ ბარი“
პირდაპირი შრომითი დანახარჯები ერთეულზე (\$)	0.07	0.14	0.12
პირდაპირი მასალის დანახარჯები ერთეულზე (\$)	0.17	0.19	0.16
ფაქტობრივად წარმოებული პროდუქცია/რეალიზაცია (ერთეულები)	500,000	150,000	250,000
პირდაპირი კაცსაათი ერთეულ პროდუქციაზე	0.001	0.01	0.005
პირდაპირი მანქანასაათი ერთეულ პროდუქციაზე	0.01	0.04	0.02
ერთეულის სარეალიზაციო ფასი (\$)	0.50	0.45	0.43
წლიური საწარმოო ზედნადები ხარჯები = \$80,000			

მოგეთხოვებათ:

გაიანგარიშოთ პროდუქციის ერთეულის მთლიანი თვითღირებულება და მოგება თითოეული სახეობის პროდუქციის ერთეულისთვის. ახსნათ თქვენ მიერ გაანგარიშებული თითოეული მონაცემის შინაარსი.

(სულ: 10 ქულა)

ამოცანა 10.

დანახაჯი-მოცულობა-მოგება.

ქვემოთ მოცემული ინფორმაცია ეხება პროდუქტ PQ-ს:

გასაყიდი ფასი \$25 ერთეულზე

ცვლადი დანახარჯი \$20 ერთეულზე

მუდმივი დანახარჯია \$50,000.

მოგეთხოვებათ:

- (ა) გამოთვალოთ წაუგებლობის წერტილი, რომელიც გამოსახულია წარმოებული და გაყიდული ერთეულების რაოდენობით.
- (ბ) გამოთვალოთ საჭირო რეალიზაციის მოცულობა \$40,000 მოგების მისაღწევად.
- (გ) კომპანიის ბიუჯეტით გათვალისწინებულია პროდუქტი PQ-ს 13,000 ერთეულის გაყიდვა. გამოთვალოთ უსაფრთხოების შუალედი ერთეულებით, ამონაგებით და პროცენტულ მაჩვენებელში გამოსახული.
- (დ) გამოთვალოთ პროდუქტი PQ-ს ზღვრული მოგების რეალიზაციასთან ფარდობის კოეფიციენტი.
- (ე) ხელახლა გამოთვალოთ წაუგებლობის წერტილი, ამონაგებით გამოსახული.
- (ვ) გამოთვალოთ \$40,000 მოგების მისაღწევად საჭირო ამონაგები რეალიზაციიდან

(სულ: 10 ქულა)

ამოცანა 11.

„განი“

შპს „განი“-ს სურს მისი მასალის დანახარჯები მინიმუმამდე დაიყვანოს. წლიური მოთხოვნა მასალაზე, რომლის ფასია \$12 ერთეულზე, 60,000 ერთეულს შეადგენს. ამ მასალის მარაგის მართვის დანახარჯები შემდეგია:

შეკვეთის დანახარჯი \$6 შეკვეთაზე

შენახვის დანახარჯი \$0.5 ერთეულზე, წლის მანძილზე

მასალის მომწოდებელმა შემოთავაზება გააკეთა 1%-იან ფასდათმობაზე, მასალის 10,000 ან მეტ ერთეულიანი პარტიებით შეძენის შემთხვევაში. თუ ასეთ პარტიებად შეკვეთა რეგულარულად განხორციელდება, მარაგის შენახვის წლიური დანახარჯი ერთეულზე \$2-მდე გაიზრდება.

მოგეთხოვებათ:

- (1) გამოითვალოთ მასალის მთლიანი დანახარჯი, თუ კომპანია გამოიყენებს შეკვეთის ეკონომიურ მოცულობას; (5 ქულა)
- (2) განსაზღვროთ, მომწოდებლის მიერ შემოთავაზებული ფასდათმობა შეამცირებს თუ არა მთლიან დანახარჯებს ამ მასალისთვის; (5 ქულა)

(სულ: 10 ქულა)

ამოცანა 12.

შემზღვეველი ფაქტორები

შპს X აწარმოებს ოთხ მყავას – A, B, C და D. ამ პროდუქტების გასაყიდი ფასი და ერთეულის თვითღირებულების ამსახველი დეტალები შემდეგია:

	A	B	C	D
	£/ლიტრი	£/ლიტრი	£/ლიტრი	£/ლიტრი
გასაყიდი ფასი	100	110	120	120
ძირითადი მასალები	24	30	16	21
პირდაპირი შრომითი დანახარჯი (6 £/საათი)	18	15	24	27
პირდაპირი დანახარჯი	-	-	3	-
ცვლადი ზედნაღები დანახარჯი	12	10	16	18
მუდმივი ზედნაღები დანახარჯი (შენიშვნა 1)	24	20	32	36
მოგება	22	35	29	18

შენიშვნა 1:

მუდმივი ზედნაღები დანახარჯი განაწილდება სამუშაო საათების საფუძველზე, კვარტალურ ბიუჯეტირებულ 1,600 სამუშაო საათზე დაყრდნობით.

მომავალი სამი თვის განმავლობაში პირდაპირი სამუშაო საათები, როგორც მოსალოდნელია, შეზღუდული იქნება 1,345-მდე. ყველა პროდუქტზე გამოყენებულია იგივე შრომა.

კომპერციულმა დირექტორმა დაადგინა, რომ ოთხი პროდუქტიდან თითოეულზე მაქსიმალური მოთხოვნა მომდევნო სამი თვის განმავლობაში შემდეგი იქნება:

- A 200 ლიტრი
- B 150 ლიტრი
- C 100 ლიტრი
- D 120 ლიტრი

მაქსიმალური მოთხოვნის ეს დონეები მოიცავს შპს X-სა და მის ერთ-ერთ კლიენტს, შპს Y-ს შორის უკვე გაფორმებული კონტრაქტით გამოწვეულ შედეგებს. ეს კონტრაქტი ითვალისწინებს თითოეული A, B, C და D პროდუქტების 20-20 ლიტრის მიწოდებას მომდევნო სამი თვის განმავლობაში.

მოგეთხოვებათ:

განსაზღვროთ A, B, C და D პროდუქტების რაოდენობა ლიტრებში, რომელიც გამოშვებულ/გაყიდა უნდა იქნეს მომდევნო სამი თვის განმავლობაში მოგების მაქსიმიზაციის მიზნით და გამოიანგარიშოთ აქედან მიღებული მოგება

ჩათვალეთ, რომ სამთვიანი პერიოდის დასაწყისში კომპანიას არ გააჩნია მარაგის საწყისი ნაშთი, რომელსაც გამოიყენებდა პერიოდში პროდუქციაზე მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად.

(10 ქულა)

ამოცანა 13.

შრომითი დანახარჯები

კომპანია გეგმავს პროდუქციის წარმოებას 10 000 ერთეულის ოდენობით, ერთი ერთეულის საწარმოებად დაადგინა 30 წუთი. 5 000 საათი 5 კვირის განმავლობაში უნდა გამოიმუშაოს 25 კვალიფიციურმა მუშამ, საათობრივი განაკვეთი შეადგენს \$5.

ფაქტურმა წარმოებამ შეადგინა 8 000 ერთეული, რასაც დასჭირდა 3 900 საათი.

წლის დასაწყისში მუშაობდა 100 მუშა საიდანაც 20 წავიდა სამსახურიდან ხოლო 10 გაანთავისუფლეს ერთ-ერთი დაბალმარჟიანი პროდუქციის ხაზის გაჩერების გამო. წლის განმავლობაში კომპანიაში მიიღეს 16 ახალი თანამშრომელი, რომლებმაც ზენორმატიული შრომის გარეშე შეძლეს იგივე სამუშაოს შესრულება.

მოგეთხოვებათ:

- ა) გამოთვალეთ სამუშაო ძალის დენადობის კოეფიციენტი; (2 ქულა)
- ბ) სამუშაო ძალის გამოყენების კოეფიციენტი; (2 ქულა)
- გ) შრომის ნაყოფიერების კოეფიციენტი; (2 ქულა)
- დ) შრომის ეფექტიანობის კოეფიციენტი; (2 ქულა)
- ე) გამოთვალეთ პრემია როვენის სქემის მიხედვით. (2 ქულა)

(სულ 10 ქულა)

ამოცანა 14.

დანახარჯთა სრული და ზღვრული დანახარჯთა კალკულაციის მეთოდები

კომპანიის მიერ რეალიზებული პროდუქციის ფასია \$14. პროდუქციის ერთეული პირდაპირი მასალის ხარჯია \$3,4, ხოლო პირდაპირი შრომის - \$3. მუდმივი საწარმოო ზედნადები დანახარჯი, რომლის წარმოების დანახარჯზე მიკუთვნება ხდება ერთეულზე შთანთქმის განაკვეთით და პერიოდის განმავლობაში \$92 000 -ის ტოლია (20 000 ერთეულ წარმოებაზე დაყრდნობით).

ორი პერიოდის წარმოება და რეალიზაცია (ერთეულებში) გამოსახულია ქვემოთ:

	პერიოდი 1	პერიოდი 2
რეალიზაცია	15 000	22 000
წარმოება	18 000	21 000

რეალიზაციის ცვლადი დანახარჯები შეადგენს \$2 ერთეულზე.

რეალიზაციის მუდმივი დანახარჯები \$12 000 .

პირველი პერიოდის დადგენილი საერთო მოგება დაანგარიშებული სრული დანახარჯთა კალკულაციით იყო \$35 800.

მოგეთხოვებათ:

ა) მოამზადეთ ანგარიში, რათა დადგინდეს მეორე პერიოდის მოგება თუ გამოვიყენებთ დანახარჯთა სრული განაწილების კალკულაციის მეთოდს.

(6 ქულა)

ბ) გამოიანგარიშეთ მეორე პერიოდის მოგება დანახარჯთა ზღვრული განაწილების კალკულაციის მეთოდით.

(2 ქულა)

გ) გამოიანგარიშეთ პირველი პერიოდის საერთო მოგება დანახარჯთა ზღვრული განაწილების კალკულაციის მეთოდით.

(2 ქულა)

(სულ 10 ქულა)